43 (077)
ა- 18

თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და
კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო აბრალავა

უცხოურ ენაზე წერის სწავლების დიდაქტიკურ-მეთოდური საფუძვლები ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლების ენობრივ ფაკულტეტებზე
(გერმანული ენის მასალაზე)

13.00.02 – სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2006

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მანანა ძუთელია**
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ნათელა იმედაძე**
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

იზოლდა კუტალაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 27 04, 14 00 საათზე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში სადისერტაციო საბჭოს (P 10. 01 № 1) სხდომაზე
მისამართი: თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი, № 45

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 27 03

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. К. Чарквиани

- 2080 -

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, პროფესორი ლ. გვასალია

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

21 საუკუნის ადამიანი ყოველდღიური საქმიანი კომუნიკაციის დროს ზეპირ მეტყველებასთან ერთად სულ უფრო მეტად გამოიყენებს წერილობით ენას, რადგან ქვეყნებს შორის ადამიანთა მობილურობის ზრდამ და ღია საზოგადოების შექმნამ გამოიწვია მიწერ-მოწერის გაცხოველება სხვადასხვა უცხოურ ენაზე.

საქართველოში, ამჟამად მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას იძენს უცხოური (გერმანული) ენის სპეციალისტების მიერ წერის უნარ-ჩვევების ქონა, რადგან ენის მომავალ სპეციალისტს უნდა შეეძლოს შესაბამის ენაზე არა მარტო მიწერ-მოწერა და საქმიანი დოკუმენტების შედგენა, არამედ ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე თავისი აზრის წერილობით გადმოცემაც.

სამწუხაროდ, დღემდე ენობრივი უმაღლესი სასწავლებლების უცხოური ენის პროგრამა სწავლების შინაარსში ცალკე სათანადოდ არ გამოყოფს წერის უნარ-ჩვევებზე მუშაობის ასპექტს, აქამდე არ არის შემუშავებული წერის კულტურის გამომუშავების მწყობრი, მეთოდურად გამართული სისტემა და სწავლების ერთიანი სტრატეგია. სწავლების პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს. დღევანდელი რეალობა კი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში საჭიროა წერის უნარ-ჩვევები ჩამოყალიბებდეს, რომლის დახვეწა-სრულყოფაზე მუშაობა აუცილებელია როგორც ენობრივ, ასევე გარკვეული მოცულობით არაენობრივ ფაკულტეტებზეც, რადგან მხოლოდ ზეპირმეტყველების, აუდირების, კითხვის და წერის უნარ-ჩვევების ერთდროულად თანაბრად ფლობის შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი უცხოური ენის პრაქტიკულ ცოდნაზე.

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ დღემდე არ არის შემუშავებული ენობრივ ფაკულტეტებზე გერმანულ ენაზე წერის სწავლების ეფექტური მეთოდიკა, მისი ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და დიდაქტიკური საფუძვლე-